ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 14

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 09.09.2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაიძე, რამაზ არველაძე, ბიჭიკო პაიკიძე, შალვა ლორთქიფანიძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი - **გვანცა სიგუა.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბერის N29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: დავით გაბუნია

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: დავით გაბუნია

3. ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელე თა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით გაბუნია

4. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

5. ,, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი)“ დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი ივანიაძე

6. „ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩა N57-ში მდებარე 1166 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.402) და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების (საერთო ფართი - 294,98 კვ.მ.) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხსენებელი: გიგა გოგიბერიძე

7. ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების“ ანგარიშის მოსმენა 2020-2021 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის თაობაზე;

მომხსენებელი: გვანცა სიგუა

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -27

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბერის N29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხესნებელმა აღნიშნა, რომ ჩამოყალიბდა ახალი განყოფილება ,,ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება“ და შესაბამისი ცვლილება შევიდა მერიის დებულებაში. ასევე შევიდა ცვლილება მერიის წარმომადგენლების უფლებამოსილებაში, მათ შეუძლიათ გასცენ ცნობა მამკვიდრებლის კუთვნილი უძრავი ქონების ფლობის ან სარგებლობის შესახებ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბერის N29 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“;

(დადგენილება N 22)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი განყოფილების შექმნამ ცვლილება გამოიწვია ასევე ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებაშიც და წარმოადგინა ეს ცვლილება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N69 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“;

(დადგენილება N 23)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელე თა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსწენებელმა აღნიშნა, რომ საშტატო ნუსხაშიც შესაბამისად შევიდა ცვლილება. ეს განყოფილება იქმნება ადგილობრივი შტატებით და მოხდება გადანაცვლება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელე თა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

(დადგენილება N 24)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ";

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ის ადგილები და შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება. უნდა აღინიშნოს, რომ აიკრძალა კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ";

(განკარგულება N 27 24)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი)" დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვლილია რამოდენიმე მიზნის მისაღწევად: *ადგილობრივი მმართველობის გამჭირვალობის ხელშეწყობა; ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა; ადგილობრივი მმართველობის ინკლუზიურობის გაზრდა;* გეგმის მიხედვით გაწერილია კონკრეტული ამოცანები, შემსრულებლები, განხორციელების ვადები... გეგმა გათვლილია 2021 წლის სექტემბრამდე.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი სამოქმედო გეგმის ვანის მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობისათვის ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით (2020 წლის ივნისი-2021 წლის სექტემბერი) დამტკიცების შესახებ";

(განკარგულება N 27 23)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩა N57-ში მდებარე 1166 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.402) და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების (საერთო ფართი - 294,98 კვ.მ.) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ფართზე განთავსებულია ,,საზოგადოებრივი ცენტრი" და ეს მიწის ნაკვეთი შესაბამისი შენობებით გადაეცემა სახელმწიფოს უსასყიდლოდ.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩა N57-ში მდებარე 1166 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.402) და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების (საერთო ფართი - 294,98 კვ.მ.) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გვანცა სიგუამ წარმოადგინა ინფორმაცია ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანების" მიერ 2020-2021 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კორონა ვირუსთან დაკავშირებით უჩვეულო რეჟიმში უწევთ მუშაობის დაწყება. არის სირთულეები, არის პრობლემური საკითხები, მაგრამ სწავლის დაწყებამდე ყველაფერი მოგვარებადია (დეტალურად იხილეთ - დანართი N2).

საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობის სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე